საქართველოს საპროკურორო საბჭოს

2017 წლის 19 ივლისის სხდომის

ოქმი №6

თბილისი, 19 ივლისი, 2017 წ.

სხდომა დაიწყო 13.15 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საქართველოს საპროკურორო საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრები:

- საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი – თეა წულუკიანი;
- საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე – ეკა ბესელია;
- საქართველოს პარლამენტის წევრი – ოთარ კახიძე;
- ქალაქ თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი – ანა კალანდაძე;
- ქალაქ რუსთავის რაიონული პროკურორი – კონსტანტინე სირაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი – გიგა ძნელაძე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე – ანზორ უსტიაძე;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი – მამუკა ფიფია;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – გოჩა ფარულავა;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი – ნათია სონღულაშვილი;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – ვასილ მშვენიერაძე;

– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, მოსამართლე – სერგო მეთოფიშვილი;
– სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი, სასწავლო უნივერსიტეტ „ევროპული აკადემიის“ პროფესორი – პოლიკარპე (თემურ) მონიავა;
– სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი – ირმა ჭკადუა.

კომისიის სხდომაზე მოწვეული გახლდათ საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე;

სხდომას ესწრებოდა ასევე საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი – ნათია მეზვრიშვილი;

კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი:

– ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 13:15 საათზე და შეამოწმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 24 ოქტომბრის №105 ბრძანებით დამტკიცებული „საპროკურორო საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მისასალმებელი სიტყვა;

2. საქართველოს მთავარი პროკურორის, ბატონი ირაკლი შოთაძის, ანგარიშის მოსმენა პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ („პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-8^1 მუხლის შესაბამისად);

3. სხვადასხვა.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საპროკურორო საბჭო შეიკრიბა მთავარი პროკურორის ანგარიშის მოსასმენად, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი. აქვე მან დამსწრე პირებს შესთავაზა, ხომ არ ჰქონდათ მოსაზრებები, რომ, კანონით დადგენილი ინტერვალებით მთავარი პროკურორის ანგარიშის მოსმენის გარდა, საბჭოს სხვა ფუნქციებიც ეტვირთა მისი უფლებამოსილების ფარგლებში და მოუწოდა წევრებს, გამოსულიყვნენ ინიციატივებით. როგორც თავმჯდომარემ განაცხადა, ანგარიშის მოსმენის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა პროკურატურის ორგანოებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ კითხვების დასმა და დისკუსიის გამართვა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. შემდგომ მან სიტყვა გადასცა საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს, რათა მას წარმოედგინა ანგარიში პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ.

საქართველოს მთავარი პროკურორი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ანგარიში მოიცავს როგორც ბოლო 6-თვიანი საქმიანობის პერიოდს, ისე 2016 წლის პერიოდის სრულ მიმოხილვას. ბატონი ირაკლი შოთაძის განცხადებით, საქართველოს პროკურატურაში აქტიურად გრძელდებოდა რეფორმების პროცესი; შემუშავდა 2017-2021 წლების პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; მიღებულ იქნა პროკურორთა ეთიკის კოდექსი; დასრულდა პროკურორთა შეფასების სისტემაზე მუშაობა; მრავალი ნაბიჯი გადაიდგა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში; შემუშავდა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და დაიგეგმა ახალი სასწავლო პროგრამები; შესრულდა ღირებული სამუშაოები საქმისწარმოების ელექტრონული წარმოების სრულყოფისათვის; ჩატარდა მასშტაბური პრევენციული ღონისძიებები და რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა. ყველა ეს განხორციელებული რეფორმა მიზნად ისახავს საქართველოს პროკურატურის ძლიერ, ეფექტიან, ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებულ სტრუქტურად ჩამოყალიბებას.

ამის შემდეგ მთავარმა პროკურორმა საბჭოს წარუდგინა დეტალური ანგარიში პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ (იხ. ბმული: http://pc.gov.ge/19.07.2017)

საბჭოს თავმჯდომარემ მთავარ პროკურორს მადლობა გადაუხადა წარმოდგენილი ანგარიშისთვის და კითხვა-პასუხის რეჟიმი გახსნილად გამოაცხადა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალბატონ ეკა ბესელიას (საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე). ქალბატონმა ეკამ მთავარი პროკურორის

ანგარიში დადებითად შეაფასა. მან ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის მკაცრი პოლიტიკიდან ლიბერალურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ტენდენციაზე და და აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ამ მხრივ ჩანდეს რა შედეგები მოგვცა ამან; მათ შორის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას ახალი სტანდარტების გამოყენებაზე; სასჯელის მოხდის ნაწილში რეგულირებების/მიდგომების შეცვლაზე; საპროცესო შეთანხმების რეფორმაზე.

როგორც ქალბატონმა ეკა ბესელიამ აღნიშნა, საკონსტიტუციო რეფორმის ერთი ნაწილი ეხება პროკურატურის შემდგომ სტატუსს, რომლითაც მოიაზრება მისი დამოუკიდებლობის უპრეცედენტო ზრდა, რაც გამოიწვევს ბევრ ცვლილებას; მათ შორის, „პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონშიც, და მიზანშეწონილი იქნება, თუ უახლოეს მომავალში საპროკურორო საბჭოს ფორმატშიც დაიწყება ამ საკითხების განხილვა.

ქალბატონი ეკა თავის სიტყვაში შეეხო დაზარალებულის უფლებებსაც, თუ რა ტიპის ცვლილების განხორციელებაა შესაძლებელი მოკლე დროში დაზარალებულის უფლებების გაზრდის კუთხით. მეორე მხრივ, მან ყურადღება გაამახვილა ნარკოპოლიტიკის თემისადმი დღესდღეობით არსებულ მიდგომაზე; აღნიშნა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის" 265-ე მუხლთან (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება) მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ცვლილებები უნდა განხორციელდეს. ის შეეხო პარლამენტში ინიცირებულ ახალ პაკეტს, მის ლიბერალურ მიდგომებს თითქმის ყველა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების დეკრიმინალიზაციის კუთხით. აღნიშნული კანონპროექტი საჭიროებს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას და კონსენსუსს უწყებებს შორის; კერძოდ, მასში გათვალისწინებული ლიბერალური მიდგომების გარდა, ქალბატონ ეკას აინტერესებდა მთავარი პროკურორის ხედვა, რა დამატებითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ამასთან, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ვალდებულებებსა და მათ აღსრულებაზე; აღნიშნა, რომ შეიმჩნევა თვალსაჩინო პროგრესი, რასაც გადაწყვეტილებათა შესრულების სტატისტიკაც აჩვენებს. ქალბატონმა ეკა ბესელიამ დადებითად შეაფასა იუსტიციის სამინისტროს როლი ამ კუთხით, ხაზი გაუსვა უწყების დამსახურებას, სწრაფ რეაგირებებს და შეტანილ წვლილს, მათ შორის, მორიგების საკითხებთან მიმართებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საქართველოს განსაკუთრებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ქალბატონმა ეკამ წარმოადგინა ინიციატივა პროკურატურაში სპეციალური დანაყოფის შექმნაზე, რომელიც ორიენტირებული იქნება დასახელებული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე იმ ვალდებულებათა ნაწილში, რა კუთხითაცაა პროკურატურა ჩართული.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების შესახებ, შეეხო მათ შორის ვაზნების საკითხს და აღნიშნა, რომ ამ მხრივ დღესდღეობით პარლამენტში მიმდინარეობს განხილვები სანქციების გამკაცრების კუთხით. მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა პროკურატურის ხედვა სანქციათა გამკაცრებასა და ვაზნებთან მიმართებით.

საქართველოს მთავარმა პროკურორმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ ეკა ბესელიას. მან სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალური ხასიათის კვალდაკვალ ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მნიშვნელობას. მისი თქმით, აღნიშნული ლიბერალური მიდგომების ფონზე, კრიმინოლოგიური კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ბოლო 3 წლის განმავლობაში არ ვლინდება დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენის მატება და სიტუაციის გაუარესება; თუმცა, თუ კვლევის შედეგად დაფიქსირდება დანაშაულთა მატება, იგი აუცილებლად პოვებს ასახვას სისხლის სამართლის პოლიტიკაში. ამასთან, მან განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით ობიექტურად არსებული სტატისტიკიდან გამომდინარე, ლიბერალური პოლიტიკის შედეგად დანაშაულებრივ ქმედებათა მატების საფრთხეს ვერ ხედავს.

ბატონმა ირაკლი შოთაძემ დაზარალებულის უფლებების საკითხთან მიმართებით განაცხადა, რომ მართლაც არის პრობლემები, რომელთა ძირითადი გამომწვევი მიზეზი არაერთგვაროვანი მიდგომებია სამართალდამცავი უწყების თანამშრომლების მხრიდან. იგეგმება ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვა. ამ კუთხით ტარდება ღონისძიებები რეკომენდაციების შემუშავებაზე, რაც უახლოეს მომავალში დასრულდება. მიღებული რეკომენდაციები გაივლის საერთაშორისო ექსპერტიზას და მიეწოდება ყველა პროკურორს.

მთავარმა პროკურორმა ნარკოპოლიტიკის თემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება მიზანშეწონილია, მოხდეს კრიმინოგენური სტატისტიკიდან/სურათიდან; მან ასევე აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს ბევრი კორექტირება შეაქვს სისხლის სამართლის

საქმეებში, შესაბამისად საჭიროა სახელმწიფო შეჯერდეს ერთიან პოლიტიკაზე; როგორც მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, იმ სანქციებიდან გამომდინარე რა სანქციებიც არსებობს კონკრეტულ დანაშაულებზე, მაქსიმალური ლიბერელიზაცია მოხდა, თუმცა უმნიშვნელოვანესია ხელახლა დადგინდეს ნარკოტიკული საშუალებების ოდენობები, რადგან მოქმედი კანონმდებლობით ბევრ ნარკოტიკულ საშუალებაზე განსაკუთრებით დიდი ოდენობა არაპროპორციულად მცირე ოდენობის ნარკოტიკიდან იწყება, რაზეც, შესაბამისად, დიდი სანქციები გამოიყენება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის პროკურატურაში სპეციალური დანაყოფის შექმნასთან დაკავშირებით ბატონმა ირაკლი შოთაძემ აღნიშნა, რომ სათანადო გადაწყვეტილების არსებობისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხის გამოყოფის შემთხვევაში, მსგავსი დანაყოფის შექმნას მიესალმება, რადგან ეს ხელს შეუწყობს პროკურატურის საქმიანობას დასახელებული გადაწყვეტილებების ეფექტიან აღსრულებაში; ამ ეტაპზე კი ამ ფუნქციას მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი ახორციელებს.

ბატონი ირაკლის მოსაზრებით, ვაზნებთან დაკავშირებული საკითხის დეკრიმინალიზაცია არ მოახდენს გავლენას საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და კრიმინოგენურ მდგომარეობაზე, რადგან პრაქტიკაში ძალიან იშვიათია მხოლოდ ვაზნებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფაქტები. მას მიაჩნია, რომ ამ მხრივაც უნდა განისაზღვროს ვაზნების ოდენობა; 236-ე მუხლის (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა)), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) გამკაცრებაზე კი განაცხადა, რომ პროექტის გაცნობიდან და სტატისტიკიდან გამომდინარე. ჩამოყალიბდებოდა პროკურატურის პოზიცია.

შემდეგ საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ ვასილ მშვენიერაძეს (თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე). მან დადებითად და ამომწურავად შეაფასა მთავარი პროკურორის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ხაზი გაუსვა სასამართლო პროცესებზე პროკურორთა მომზადების დონეს და მტკიცებულებათა წარდგენის სტანდარტების გაუმჯობესებას, რაც სასამართლოსთვის ადამიანური და დროის რესურსის დაზოგვის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

ბატონმა ვასილმა მიღწეული პროგრესისათვის მადლობა გადაუხადა მთავარ პროკურორს და მის გუნდს.

სხდომაზე ბატონი ოთარ კახიძის (საქართველოს პარლამენტის წევრი) კითხვები ანგარიშთან დაკავშირებით შეეხებოდა 2010 წლიდან მოყოლებული სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მონაცემებს; სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელს; განრიდებული პირების რეციდივის სტატისტიკას; სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდების დაკმაყოფილების პროცენტის ზრდის პარალელურად გამამართლებელი სასამართლო განაჩენების მცირედი ზრდის ტენდენციის გამომწვევ მიზეზებს; სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების პასუხისგებაში მიცემის სტატისტიკის ზრდას – შეეხებოდა ეს ახალ თანამშრომლებს, თუ 2012 წლამდე ჩადენილ დანაშაულებსაც მოიცავდა (აქვე აღნიშნა პარლამენტში სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა პატიმართა სხეულის დაზიანების მაჩვენებლის ზრდასა და მათი მიზეზების დაუდგენლობაზე); ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დევნის მაჩვენებლის ზრდას; გამოძიების დროს მოწმეებსა და დაზარალებულებთან ურთიერთობას და გამომძიებლების გადამზადებას; ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამის განვითარების მიმდინარეობის საკითხს; საპროკურორო საბჭოს როლს და ჩართულობას სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში; დანაშაულის რეგისტრაციის გამოწვევებს და ამ მიმართულებით არსებულ სტატისტიკას.

საქართველოს მთავარმა პროკურორმა ბატონი ოთარის საპასუხოდ განაცხადა, რომ წარმოდგენილ ანგარიშში მიუთითებდნენ/დაამატებდნენ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წინა წლების მონაცემებს, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სრულწლოვან განრიდებულ პირთა რეციდივის სტატისტიკას. ბატონი ირაკლის განმარტებით, 2015 წლის ანალიზით გამამართლებელ განაჩენთა გამოტანის ძირითადი ტენდენციაა არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობა. მან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამის თაობაზე ინფორმაცია მთავარ პროკურატურაში არ შესულა და არც სახალხო დამცველს მიუწოდებია რაიმე რეკომენდაცია ან წინადადებები და აუცილებლად დაინტერესდებიან მსჯავრდებულთა დაზიანებების და თვითდაზიანებების საკითხით. მთავარმა პროკურორმა სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით არსებულ სტატისტიკაზე აღნიშნა, რომ, ძირითადად, ეს საქმეები ძველი, 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე არსებული საქმეებია, რადგან ბევრი საჩივარია წარმოდგენილი

სასჯელაღსრულების დაწესებულებების მაშინდელ თანამშრომელთა ქმედებებზე. ბატონი ირაკლის თქმით, დაზარალებულ მხარესთან გამომძიებლების ურთიერთობის კუთხით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, გამოიცა მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, რომელიც გადაეცა ყველა სამართალდამცავ ორგანოს და კონტროლდება მისი პრაქტიკაში რეალიზება.

შემდეგ მთავარ პროკურორს მიმართა ქალბატონმა ირმა ჭკადუამ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი) სასამართლო განხილვაში არსებულ საქმეზე პროკურორების მიერ წარმოდგენილი არასაკმარისი მტკიცებულებების გამო გამოწვეული დაზარალებულთა უკმაყოფილებების თაობაზე. მისი განცხადებით, ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც პროკურორისთვისაც აშკარა იყო, რომ ბრალდების მხარე პროცესს ვერ მოიგებდა, თუმცა, ისინი მაინც ცდილობდნენ დაზარალებული მხარის ახლობლების დარწმუნებას ბრალდების უტყუარობაში, რაც საბოლოოდ სასამართლოში ექსცესების გამომწვევი მიზეზი ხდებოდა.

მთავარი პროკურორი გამოეხმაურა ქალბატონი ირმას მიერ დასმულ საკითხს. მისი განცხადებით, დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენისას პროკურორი შინაგანი რწმენით მოქმედებს, ტარდება გამოძიება და სასამართლოს წარედგინება საქმე; მტკიცებულებათა შეფასება კი სასამართლოს კომპეტენციაა. ბატონი ირაკლი არ დაეთანხმა ქალბატონი ირმას მოსაზრებას პროკურორების მხრიდან დაზარალებულების არასწორ ინფორმირებულობასა და მათ წაქეზებასთან დაკავშირებით, ამასთან, დაამატა, რომ თუ ჰქონდა რაიმე სახის მტკიცებულება პროკურორის მხრიდან მსგავსი ქმედებების განხორციელების თაობაზე, შეეძლო, მიემართა პროკურატურის გენერალური ინსპექციისთვის.

ბატონმა სერგო მეთოფიშვილმა (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, ამავე სასამართლოს მოსამართლე) ქალბატონი ირმას პასუხად რეპლიკის სახით განაცხადა, რომ საქმის ბოლომდე განხილვამდე არამცთუ პროკურორებს, თავად მოსამართლეებსაც კი ეცვლებათ პოზიცია სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებსა და გარემოებებთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა სისხლის სამართლის ელექტრონული პროგრამის (ე.წ. CrimCase) შესახებ და დამსწრე პირებს საკითხთან დაკავშირებით მცირე პრეისტორია გააცნო. ქალბატონმა თეამ აღნიშნა, რომ 2012 წელს სახელმწიფოს სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მოქმედ ელექტრონული წარმოების პროგრამას

საკუთარი ნებით გამოეყო სასამართლო სისტემა, რაზეც არსებობდა ბ-ნი კ. კუბლაშვილის ოფიციალური წერილი. ამის შემდეგ სასამართლომ გადაწყვიტა, დამოუკიდებლად შეექმნა ელექტრონული სისტემა, რაც საბოლოოდ ვერ მოხერხდა.

CrimCase-ის პროგრამა დაწერილი იყო იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სმართ ლოჯიქის" მიერ, რომელიც, თავად პროკურორებისა და გამომძიებლების მოსაზრებით, ვეღარ პასუხობდა პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის საჭირო თანამედროვე სტანდარტებს. რაც კიდევ უფრო დასანანია, პროგრამა განახლებასა და განვითარებას არ ექვემდებარებოდა თავის დროზე მისი შექმნისა და მენეჯმენტისას დაშვებული სერიოზული შეცდომების გამო. პროგრამის გამომყენებლებისა და პროგრამისტების ერთობლივი გადაწყვეტილებით (ისევ სსიპ „სმართ ლოჯიქის" მეშვეობით) შემუშავდა სამოქმედო გეგმა სისხლის სამართლის ელექტრონული წარმოების ახალი პროგრამის შექმნის შესახებ. პროკურორების აქტიური ჩართულობით მაქსიმალურად მოკლე დროში დაიწერა ტექნიკური ამოცანა, სადაც გათვალისწინებულია ყველა ის ფუნქცია, რაც მათი საქმიანობისთვის სასურველი და მისაღებია. თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში სასამართლოს ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ უკვე გამოთქვა მზაობა მასში ჩართვის თაობაზე, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა. ამასთან, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პროგრამაში ჩართული იქნება აღსრულების ეროვნული ბიუროც. რაც შეეხება ადვოკატთა ჩართულობის საკითხს, ქალბატონმა თეამ აღნიშნა რომ, ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელობისგან ჯერჯერობით არ გამოთქმულა პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით და გამოთქვა იმედი, რომ წლის ბოლოსთვის ისინიც მზად იქნებიან ჩაერთონ პროგრამაში.

ბატონმა ოთარ კახიძემ დასვა კითხვა, თუ რატომ არ განახლდა ძველი პროგრამა, რადგან ახალი პროგრამის სისტემაში ბოლომდე ამოქმედება გარკვეულ დროს მოითხოვდა; ამასთან, მიესალმა გამოთქმულ მოსაზრებებს სასამართლო სისტემისა და ადვოკატების ზემოაღნიშნულ ელექტრონულ პროგრამაში ჩართვის კუთხით; სურვილი გამოთქვა, სამომავლოდ საპროკურორო საბჭოს წევრებიც გასცნობოდნენ ახალი ელექტრონული პროგრამის პროექტს და შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მათი მოსაზრებებიც მიეღოთ მხედველობაში.

ბატონი ირაკლი შოთაძის განმარტებით, ძველი ელექტრონული პროგრამა განახლებას არ ექვემდებარებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა სხვადასხვა მიმართულებით დათვლილიყო

სტატისტიკირი მონაცემები და პროკურორებს უწევდათ მათი ხელით დათვლა; ახალი პროგრამა კი, რომელზე მუშაობაც უკვე თითქმის დასრულებულია, გაცილებით მოქნილი და მოსახერხებელია, აღმოფხვრილია ძველ პროგრამაში არსებული ყველა პრობლემა.

დამატებითი კომენტარი გააკეთა ქალბატონმა ნათია სონღულაშვილმა (საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი). მან აღნიშნა, რომ ახალი ელექტრონული პროგრამის შემუშავების პროცესში, გარდა პროკურატურის ანალიტიკოსებისა, ისე პრაქტიკოსი მომხმარებლების მოთხოვნებიც იქნა გათვალისწინებული, პროგრამა გათვლილია და პასუხობს ყველა თანამედროვე ტენდენციას და მასში გამოყენებულია უახლესი ტექნიკური საშუალებები. ყველა სტატისტიკური მონაცემის დათვლა უკვე პროგრამის მეშვეობით იქნება შესაძლებელი. პროკურორის მიერ შესაბამისი ველების შევსების შემთხვევაში, მას პროგრამა მისცემს საშუალებას, ნებისმიერი ინფორმაციის მატარებელი სტატისტიკური მონაცემი მოიძიოს; ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად გაამარტივებს და დაზოგავს ადამიანურ რესურსს საპროკურორო საქმიანობის განხორციელებისას.

დამსწრე პირებს ახალი ელექტრონული სისტემის შექმნის თაობაზე მოკლე ინფორმაცია მიაწოდა ქალბატონმა ნათია მეზვრიშვილმა (საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი). მისი განცხადებით, ორი კვირის წინ შედგა შეხვედრა სსიპ „სმართ ლოჯიქის" წარმომადგენლებთან და ელექტრონული პროგრამის პროექტის პირველადმა ვერსიამ შესაბამისი მოწონება დაიმსახურა პროკურორების მხრიდან. როგორც ქალბატონმა ნათიამ აღნიშნა, საბოლოო ვერსია წლის ბოლომდე შემუშავდება, რის შემდეგაც უკვე შესაძლებელი იქნება საქართველოს პროკურატურის ახალ ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა.

მთავარი პროკურორი შეეხო პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის საკითხსაც. როგორც მან აღნიშნა, ორივე დოკუმენტის პროექტი თავის დროზე დაეგზავნა საპროკურორო საბჭოს წევრებს და მოხდა ასევე მისი განხილვა სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში, სადაც მოსმენილ და გაზიარებულ იქნა დამსწრე არასამთავრობო თუ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მოსაზრებები. დღეის მდგომარეობით, ორივე დოკუმენტი საჯაროა და განთავსებულია როგორც მთავარი პროკურატურის, ისე საპროკურორო საბჭოს ვებგვერდზე. ამასთან, მან გამოთქვა მზაობა შენიშვნების არსებობის შემთხვევაში დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

რაც შეეხება დანაშაულის რეგისტრაციის პრობლემებს, როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, ამ მიმართულებით სერიოზული ტენდენციები არ შეინიშნება, თუმცა ამ საკითხს სჭირდება კონტროლი, რადგან დანაშაულის სტატისტიკის მიმართულება გახლდათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მანკიერი მხარე – ჯერ კიდევ ძველი დროიდან გადმოსული სისტემური პრობლემა. მისი მოსაზრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა არ უნდა ფასდებოდეს სტატისტიკის მიხედვით, არამედ აქცენტი უნდა კეთდებოდეს საქმიანობის ხარისხსა და მიწოდებულ სერვისებზე, შესაბამისად შესაცვლელია ასეთი მიდგომები.

როგორც ბატონმა ოთარმა აღნიშნა, ვინაიდან დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად, პროპორციულად იზრდება სისხლისსამართლებრივი დევნის ან განრიდების მაჩვენებელი, ეს მიუთითებს გამოძიების კუთხით რევოლუციურ გარდატეხაზე, რაც ნაკლებად სარწმუნოა, ან იმაზედ, რომ პოლიციელები უფრო მიდრეკილნი გახდნენ დანაშაულის დაფარვისკენ; შესაბამისად, თუ პროკურატურა არ დაინტერესდება ამ საკითხებით, შესაძლებელია პრობლემები უფრო გაღრმავდეს.

ბატონი ოთარ კახიძის აზრით, ვინაიდან ახალი ელექტრონული პროგრამის პრაქტიკაში დანერგვა შორს მიმავალი საკითხია, აქტიურად უნდა მოხდეს არსებულის გამოყენება; ასევე, მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ადვოკატების ჩართულობაც ახალი ელექტრონული პროგრამის მოდულში, რაც არა მხოლოდ ადვოკატებისთვის, პროკურორებისთვისაც კომფორტული იქნება.

აღნიშნულს დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარე და დასძინა, რომ ადვოკატების ჩართულობა მართლაც მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუმცა, ამისათვის უნდა იყოს მათი მხრიდანაც მზაობა მაღალი ხელმძღვანელობის დონეზე, რაც დღეის მდგომარეობით არ შეინიშნება. რაც შეეხება ძველ ელექტრონულ სისტემას, როგორც ქალბატონმა თეამ აღნიშნა, დღეს, რა თქმა უნდა, პროკურორენი მას იყენებენ, თუმცა, იყენებენ ვიდრე ჩაირთვება ახალი, რომლის ამოცანა უკვე დაწერილია და კონტროლირდება მის ჩართვა შემჭირდოვებულ ვადებში.

დღის წესრიგით განსაზღვრულ სხვადასხვა საკითხზე სასაუბროდ სიტყვა ითხოვა ქალბატონმა ირმა ჭკადუამ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ნარკოდანაშაულთან ბრძოლის საკითხზე. მან განაცხადა, რომ აუცილებელია, გამკაცრდეს პოლიციელებზე საპროკურორო ზედამხედველობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ე.წ. „ჩადებები". როგორც მან აღნიშნა, აუცილებელია, დაკავებისას კვლავ სავალდებულო გახდეს ნეიტრალური მოწმის დასწრება, რათა მსგავსი კატეგორიის ბრალდებულთაგან გამუდმებით არ იყოს დასაბუთებული თუ დაუსაბუთებელი განცხადებები სამართალდამცავი ორგანოს

თანამშრომლების მხრიდან დაკავების დროს განხორციელებულ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში, რომელსაც თავად (იუსტიციის მინისტრი) ხელმძღვანელობს, ნარკოპოლიტიკის საკითხზე ბევრჯერ ჰქონია კამათი და აზრთა დაპირისპირება როგორც გარე დაინტერესებულ მხარეებთან, ისე უშუალოდ მმართველ გუნდში, არის აზრთა სხვადასხვაობა. მან აღნიშნა, რომ 2013 წელს ამ საბჭოში სამართალდამცავი ბლოკი ლიბერალიზაციის წინააღმდეგი იყო. მისი თქმით, არც შინაგან საქმეთა სამინისტრომ და არც პროკურატურამ მოიწონა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ლიბერალიზაციის პაკეტი, რაც გულისხმობდა კანონში გარკვეული ცვლილებების შეტანას. იუსტიციის მინისტრმა დაამატა, რომ განათლების მაშინდელი მინისტრიც სამართალდამცავი უწყებების პოზიციაზე იდგა და ამ ყველაფერმა გამოიწვია საკითხის შეჩერება.

როგორც ქალბატონმა თეამ აღნიშნა, დღეისათვის მმართველი გუნდის უმრავლესობას სურს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია, სწორედ ამაზე მეტყველებდა ქალბატონი ეკა ბესელიას მიერ ნახსენები კანონპროექტი, რომელსაც პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში განიხილავდნენ (ემყარება პორტუგალიაში არსებულ ნარკოპოლიტიკას). მან აქვე დასძინა, რომ ერთი საკითხია პორტუგალიაში მოქმედი კარგი ნარკოპოლიტიკა და მეორე საკითხია, ჩვენი სახელმწიფო დღეისათვის რამდენად არის მზად მისი წარმატებით ამოქმედებისათვის. მისივე განცხადებით, აუცილებელია ლიბერალიზაციის გზით სიარული, თუმცა, მნიშვნელოვანია რეფორმის გატარება სერიოზული სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე, რომელთაც დამოუკიდებელი და ავტორიტეტული ორგანიზაცია განახორციელებს.

დაკავების ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტრო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში აწარმოებს რამდენიმე დავას და ელოდება აღნიშნულზე გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც შეეხება სწორედ ნარკოდანაშაულს და დაკავებისას მოწმის არსებობის პრობლემას. როგორც თავმჯდომარემ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარე მზად იყო მორიგებისთვის, გადაწყდა, რომ არ მოხდეს მორიგება აღნიშნულ საქმეებზე, რადგან საჭიროა სტრასბურგული პრეცედენტის დადგენა, რათა გავიგოთ, რა შეიძლება იყოსს სტანდარტი და რა გვექნება შესასწორებელი ეროვნულ კანონმდებლობაში, რა უნდა დახვეწოს პოლიციამ ან პროკურატურამ თავის საქმიანობაში და ა.შ.

აქვე იუსტიციის მინისტრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სავალდებულო მოწმის ინსტიტუტის ამოქმედება ვერ გადაჭრის ყველა პრობლემას, რაც დაკავების დროს სამართალდამცველის მხრიდან უკანონო ქმედებას გამორიცხავს, თუმცა, რა თქმა უნდა, ამას აქვს გარკვეული შემაკავებელი ძალა და ამცირებს რისკებს.

ბატონი ირაკლი შოთაძის განცხადებით, პროკურატურა მაქსიმალურად ცდილობს ეფექტიანი საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებას ზემოაღნიშნული კატეგორიის საქმეებზე. როგორც მან აღნიშნა, ე.წ. „ჩადებებთან" დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს მრავალ საქმეზე და ცდილობენ, მოიპოვონ მტკიცებულებების მაქსიმალური რაოდენობა. მისი თქმით, აპირებენ საპროკურორო ზედამხედველობის სტანდარტის კუთხით გარკვეულ რეკომენდაციებზე მუშაობას. ბოლოს ბატონმა ირაკლიმ დასძინა, რომ მნიშვნელოვანი იქნება სამომავლოდ სასამართლოს მიდგომის (პრაქტიკის) გათვალისწინება მსგავსი კატეგორიის საქმეებზე. მთავარი პროკურორის განცხადებით, საბოლოოდ საჭირო გახდება საკანონმდებლო რეგულაციების დაზუსტება ზემოაღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით.

ქალბატონი ირმა ჭკადუა შეეხო დაკავების ოქმის ასლის ჩაბარების პრობლემასაც. მისი თქმით, დაკავების ოქმზე ხელმოწერა ხშირ შემთხვევაში იწვევს როგორც ბრალდებულის, ისე სასამართლოს დაბნეულობას, რადგან ოქმზე წვრილი შრიფტითაა მითითებული ოქმის ასლის ბრალდებულისთვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია.

საპასუხოდ ბატონმა ირაკლი შოთაძემ განაცხადა, რომ პროკურატურა ყველანაირად შეეცდებოდა საკითხის შესწავლას და პრობლემის არსებობის შემთხვევაში მის აღმოფხვრას.

სხდომის დასასრულ, ქალბატონმა თეამ სიტყვა გადასცა ბატონ ოთარ კახიძეს, რომელმაც მთავარ პროკურორს შესთავაზა პარლამენტში მიბრძანება და უმცირესობის ფორმატში მათი პარტიის ფრაქციებთან შეხვედრა სხვადასხვა თემაზე საუბრის მიზნით. მან კითხვები დასვა კონკრეტულ სისხლის სამართლის სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით, თუ რა ეტაპზეა გამოძიება ამ საქმეებთან მიმართებით, მათ შორის, ბატონ ირაკლის ჰკითხა, ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებულის პირის ძებნის საკითხზე თუ მიეწოდა ინტერპოლს ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა ბატონ ოთარ კახიძეს „პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონი მე-8[1] მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი), რომლის თანახმადაც, საპროკურორო საბჭო არ არის უფლებამოსილი, მთავარ პროკურორს მოსთხოვოს ანგარიში ისეთ თემებზე, რომლებიც შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის

გამოძიებასთან, სასამართლოში მის განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სწორედ აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლით მსგავსი შინაარსის შემცველ შეკითხვები თავმჯდომარის მხრიდან მოხსნილ იქნა.

რაც შეეხება ბატონი ოთარის პირველ შეკითხვას მთავარი პროკურორის საპარლამენტო ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლიმ განაცხადა, რომ არ აქვს პრობლემა პარლამენტარებთან შეხვედრასთან დაკავშირებით, თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ პროკურატურას სისხლის სამართლის კონკრეტული საქმეების დეტალებზე საპარლამენტო ფორმატში საუბრის ანგარიშვალდებულება არ ჰქონდა. როგორც თავად განაცხადა, მისი პარლამენტში მისვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა საკითხებთან დაკავშირებით სურს უმცირესობას მასთან შეხვედრა. ვინაიდან გიგა ოთხოზორიას მკვლელობასთან დაკავშირებული შეკითხვა არ მოიცავდა სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის დეტალებს, მთავარმა პროკურორმა უპასუხა ბატონი ოთარ კახიძის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ოთხოზორიას მკვლელი ინტერპოლის მიერ იძებნება წითელი ცირკულარით.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, დამსწრე პირებს მადლობა გადაუხადა მონაწილეობისათვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 16:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე: თეა წულუკიანი

საბჭოს წევრები:

ეკა ბესელია
ოთარ კახიძე
ანა კალანდაძე
კონსტანტინე სირაძე
გიგა ძნელაძე
ანზორ უსტიაძე
მამუკა ფიფია
გოჩა ფარულავა
ნათია სონღულაშვილი
ვასილ მშვენიერაძე

სერგო მეთოფიშვილი

პოლიკარპე (თემურ) მონიავა

ირმა ჭკადუა